ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2023 | No. 4, 63-82

ISSN2667-9825(online)

სიკვდილის მიმართ შფოთვა, თვითშეფასება და მიჯაჭვულობის ტიპები[1]

ნინო ანჩაბაძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Death anxiety, self-esteem and attachment styles

Nino Anchabadze

Bachelor program student of the Faculty of Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

[1] „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა ეფუძნება ტერორის მართვის თეორიას, რომლის ფარგლებშიც იკვლევენ ეგზისტენციალური ფიქრების გავლენას ადამიანის ქცევებსა თუ მოტივაციაზე (Harvell and Nisbett, 2016). ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა სიკვდილის მიმართ შფოთვის კავშირი თვითშეფასებასა და მიჯაჭვულობას შორის რაოდენობრივი მეთოდოლოგიისა და კითხვარების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 138-მა ადამიანმა, რომელთა ასაკი ვარირებდა 18-35 წლამდე. მათ ონლაინ გაეგზავნათ სიკვდილის მიმართ შფოთვის, თვითშეფასებისა და ზრდასრულთა მიჯაჭვულობის კითხვარები. ჰიპოთეზა, რომ არაუსაფრთხო მიჯაჭვულობა დადებით კავშირშია სიკვდილის მიმართ შფოთვასთან, დადასტურდა. სტატისტიკური ანალიზის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ თვითშეფასება დადებით კორელაციაშია სიკვდილის მიმართ შფოთვასთან. თვითშეფასებას აღმოაჩნდა პრედიქტორული ღირებულება სიკვდილის შფოთვის მიმართ (β=.23, p<.05). სიკვდილის მიმართ შფოთვის დადებითი კავშირი თვითშეფასებასთან შესაძლოა, აიხსნას კოლექტივისტური კულტურის კავშირით საკუთარი თავის შეფასებასთან, ხოლო არაუსაფრთხო მიჯაჭვულობასთან – სხვების მიერ ინდივიდის მსოფლმხედველობის მხარდაჭერის დეფიციტით.

საკვანძო სიტყვები: *სიკვდილის მიმართ შფოთვა, თვითშეფასება, მიჯაჭვულობა, ტერორის მართვის თეორია*

Abstract

This study is based on terror management theory, which examines the influence of existential thoughts on human behavior and motivation (Harvell and Nisbett, 2016). Our goal was to determine the relationship that death anxiety has with self-esteem, and attachment with the quantitative methodology and with the help of questionnaires. 138 people, whose age ranged from 18 to 35 years, took part in the research. They were sent online questionnaires of Death Anxiety, Self-esteem, and Adult attachment. The hypothesis that insecure attachment is positively related to death anxiety was confirmed. Statistical analysis also revealed that self-esteem is positively correlated with death anxiety. Self-esteem was found to have predictive value for death anxiety (β=.23, p<.05). The positive relationship of death anxiety with self-esteem may be explained by the connection of collectivistic culture with how individual evaluates themselves, and with insecure attachment – with the lack of support of the individual's worldview by others.

Key words: *Death anxiety, selfesteem, attachment, Terror Managament theory*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

სიკვდილის გარდაუვლობა და გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით თუ რა ხდება მის შემდეგ, კაცობრიობისათვის ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი იყო. უძველესი ლიტერატურული ძეგლის გილგამეშის ეპოსის, მთავარი საკითხიც კი დაკავშირებულია სიკვდილის აუცილებლობის გაცნობიერებასა და უკვდავების წამლის ძიებასთან (Kovacs, 1989). ადამიანები სიკვდილს განიხილავენ როგორც ერთადერთ მოვლენას, რომელიც ყველამ ვიცით, რომ მომავალში აუცილებლად მოხდება (Van Brussel, 2014), რაც ტერორის მართვის თეორიის მიხედვით, ადამიანში შფოთვისა და ტერორის განცდის საფუძველია (Pyszczynski, Solomon and Greenberg, 2015). ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიურ ქცევებსა (Harvell and Nisbett, 2016) და მოტივაციაზე (Cox et al., 2008).

სწორედ ამ იდეებს იზიარებდა კულტურის ანთროპოლოგი ერნესტ ბეიკერი, რომლის ნაშრომები სიკვდილსა და მისგან გამოწვეულ შფოთვას უკავშირდება (Hayes, 2017). ბეიკერის მიხედვით, ადამიანი იმყოფება პარადოქსულ მდგომარეობაში, რადგანაც მას აქვს თვითგადარჩენის ინსტინქტი, განვითარებული აქვს უნარები, რომლებიც ეხმარება გარემოსთან ადაპტაციაში, მაგალითად, ენის, კოგნიციისა თუ მომავლის დაგეგმვის უნარი (Harvell and Nisbett, 2016), თუმცა, ამავდროულად, ჩვენივე განვითარებული კოგნიტური შესაძლებლობების შედეგად ვაცნობიერებთ, რომ სიკვდილი გარდაუვალია (Abeyta, Juhl and Routledge, 2014). სიკვდილის აუცილებლობა კი ჩვენში შიშს იწვევს. ამ გაცნობიერებული ფაქტის გარკვეულწილად განდევნა აუცილებელია, იმისათვის, რომ ინდივიდმა ყოველდღიურად იფუნქციონიროს (Harvell and Nisbett, 2016).

უფრო კონკრეტულად, საკითხი, თუ როგორ ვუმკლავდებით სიკვდილის მიმართ შფოთვას, განხილულია ზემოთ აღნიშნულ ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში (Terror Management Theory) (Juhl and Routledge, 2016), რომელიც 1986 წელს ჯეფ გრინბერგმა, შელდონ სოლომონმა და ტომ პიშჩინსკიმ (Jeff Greenberg, Sheldon Solomon, Tom Pyszczynski) წარმოადგინეს (Schimel et al., 2019). ეს თეორიული ჩარჩო გვეხმარება, ავხსნათ ადამიანთა ქცევები სიკვდილის გაცნობიერებასთან დაკავშირებული თავდაცვითი მოტივაციების თვალსაზრისით (Mikulincer and Florian, 2000). თეორიის ავტორები მიზნად ისახავდნენ, გაეცათ პასუხი ორი კითხვისათვის: პირველი, რა არის იმის მიზეზი, რომ ადამიანები საკუთარ კულტურულ რწმენებს დაჟინებით იცავენ და ეწინააღმდეგებიან მათგან განსხვავებულ შეხედულებებს და მეორე, რატომ არის ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი თვითშეფასება (Greenberg, Koole, and Pyszczynski, 2004). აღნიშნული თეორიის მთავარი ამოსავალი დებულება არის ის, რომ სიკვდილის გარდაუვლობის გაცნობიერება ადამიანში ტერორის განცდას იწვევს. ტერორში ისინი გულისხმობენ იმ ინტენსიურ შიშს, რომელიც ბუნებრივი გადარჩევის შედეგად სიკვდილის თავიდან ასარიდებლად ჩამოგვიყალიბდა (Pyszczynski et al., 2015). თეორიის ავტორების მიხედვით, ეგზისტენციალურ ტერორთან გასამკლავებლად, არსებობს ე.წ. „შფოთვის ბუფერები“, რომლებიც ინდივიდს ეხმარება მის ცხოვრებას

ISSN2667-9825(online)

მნიშვნელობა შესძინოს და შეუქმნას რწმენა, რომ რაღაც მნიშვნელობის მქონე სამყაროში ცხოვრობს (Juhl and Routledge, 2016). ამასთან ერთად, შფოთვის ბუფერები ამცირებს ეგზისტენციალურ შფოთვას, რადგან ეხმარება ადამიანს, იფიქროს, რომ მისი გარკვეული ღირებული ნაწილი სიკვდილის შემდეგაც დარჩება. შედეგად, ადამიანს უყალიბდება სიმბოლური თუ რეალური უკვდავების განცდა. სიმბოლურ უკვდავებაში მოიაზრება რაიმე ისეთის შექმნა, რაც პიროვნების სიკვდილის შემდეგ დარჩება (მაგალითად, შთამომავლობა ან ინდივიდის მიღწევები), ხოლო რეალურ უკვდავებაში – ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელება (მაგალითად, სამოთხეში მოხვედრის ან რეინკარნაციის იდეა) (Burke, Martens and Faucher, 2010).

თეორიის ფარგლებში ძირითად შფოთვის ბუფერებს წარმოადგენს კულტურული მსოფლმხედველობა, რომლის დახმარებითაც ადამიანი საკუთარ ცხოვრებას და გარემოს გარკვეულ აზრს სძენს და თვითშეფასება, რომელიც განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წარმატებულად აღიქვამს ინდივიდი თავს საკუთარ კულტურაში (Neff, 2011).

კულტურული მსოფლმხედველობა უზრუნველყოფს სამყაროსათვის გარკვეული მნიშვნელობის მინიჭებას. ამის მიხედვით ყალიბდება ის ღირებულებათა სისტემა, რომელსაც ემყარება ადამიანთა თვითშეფასება (Juhl and Routledge, 2016). შესაბამისად, როდესაც ინდივიდი საკუთარი საქმიანობით აკმაყოფილებს კულტურულ ღირებულებებს, რომლის ნაწილიც თავად არის, ეს დადებითად აისახება მის თვითშეფასებაზე. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადამიანის შფოთვის დონეზე სიკვდილის მიმართ, რადგანაც კულტურული ღირებულებების დაკმაყოფილება კავშირშია სიმბოლური თუ რეალური უკვდავების განცდასთან (Leary, 2004).

ლინზი ჰარველმა და გვენდელინ ნისბეტმა (Harvell & Nisbett, 2016) გამოყვეს ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში წარმოდგენილი შემდეგი სამი ძირითადი ჰიპოთეზა:

1. სიკვდილის შეხსენების ჰიპოთეზა – როდესაც ადამიანს ახსენებენ სიკვდილს, ეს ზრდის მის მიერ საკუთარი მსოფლმხედველობის დაცვის, თვითშეფასების შენარჩუნებისა და ადამიანებთან ახლო მიჯაჭვულობის დამყარების სურვილს, რადგანაც ეს ის ფაქტორებია, რომლებიც გვეხმარებიან სიკვდილის მიმართ შფოთვის შემცირებაში (Greenberg et al., 1990). მაგალითად, გრინბერგისა და სხვების ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, სიკვდილთან დაკავშირებული ფიქრები, რომლებიც პოტენციურად იწვევენ შფოთვას, ზრდის ინდივიდის მიერ საკუთარი მსოფლმხედველობის დაცვას (Greenberg et al., 2003).

2. სიკვდილთან დაკავშირებული ფიქრების ხელმისაწვდომობა – როდესაც მსოფლმხედველობას, თვითშეფასებასა და მიჯაჭვულობას საფრთხის ქვეშ აყენებენ, ეს ზრდის სიკვდილთან დაკავშირებული ფიქრების ხელმისაწვდომობას. მაგალითად, ამ ფაქტს ცხადყოფს კვლევა, რომლის შედეგების თანახმად, როდესაც ადამიანის

ISSN2667-9825(online)

თვითშეფასებას საფრთხე ემუქრება, იგი უფრო ხშირად ავლენს სიკვდილთან დაკავშირებულ ფიქრებს (Hayes et al., 2008).

3. შფოთვის ბუფერული ჰიპოთეზა – რადგანაც მსოფლმხედველობები, თვითშეფასება და მიჯაჭვულობა ადამიანს იცავს სიკვდილთან დაკავშირებული შფოთვისაგან, მაშინ მათი გაძლიერება ინდივიდს გახდის ნაკლებად მგრძნობიარეს ეგზისტენციალური შფოთვის მიმართ (Harvell and Nisbett, 2016). მაგალითად, სხვების მიერ საკუთარი მსოფლმხედველობის მხარდაჭერის შემთხვევაში სიკვდილის შეხსენების შემდეგ მცირდება სიკვდილთან დაკავშირებული ფიქრები და საწინააღმდეგო მოსაზრების მქონე ინდივიდების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების გამოვლენა (Schmeichel and Martens, 2005).

2016 წლისთვის უკვე ასობით ექსპერიმენტი ჩატარდა ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში, რომლებმაც დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზები (Harvell and Nisbett, 2016). კვლევები ძირითადად ექსპერიმენტულია და იყენებენ სიკვდილის შეხსენებას როგორც დამოუკიდებელ ცვლადს (Anon, 2004).

მოგვიანებით, ტერორის მართვის თეორიის გადახედვისას, ახლად გაჩენილი კითხვების საპასუხოდ განავითარეს დამატებითი მოსაზრებები, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერის, ჰარი სტეკ სალივანის, ჟან პიაჟეს, კარენ ჰორნის, ოტო რანკისა და ჯონ ბოულბის, შრომებს ეფუძნება (Pyszczynski et al., 2015). მაგალითად, იმის ასახსნელად თუ როგორ ხდება ინდივიდის განვითარების პროცესში მსოფლმხედველობისა და თვითშეფასების, როგორც შფოთვის ბუფერების, ჩამოყალიბება, მათ დასჭირდათ მიჯაჭვულობის ცნების განხილვა (Pyszczynski et al., 2015). ლინდსი ჰარველი და სხვები (Harvell & Nisbett, 2016) შემდეგნაირად ხსნიან მიჯაჭვულობის როლს ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში: როდესაც ჩვილი განიცდის დისკომფორტს და გამოხატავს ამას სიგნალებით, შედეგად ის იღებს მშობლისგან გარკვეული სახის კონტაქტს, რაც ჩვილის სტრესს ამცირებს. შესაბამისად, ეს კავშირი ასოცირდება მშობლის სიყვარულთან. ასაკის მატებასთან ერთად მშობლების მიერ გამოხატული სითბო უფრო და უფრო მეტად უკავშირდება ბავშვის ქცევებს, განსაკუთრებით, ისეთებს, რომლებიც დადებითად შეფასებულია მათ კულტურაში. ამასთან ერთად, დროთა განმავლობაში, აბსტრაქტული იდეების განვითარებასთან ერთად ბავშვი იწყებს სიკვდილის გარდაუვლობის გაცნობიერებას, ხვდება, რომ არსებობს ისეთი მოვლენები, რომლებისგანაც მშობლები ვერ დაიცავენ. თუმცა თანდათანობით იგი ეცნობა და ითავისებს კულტურულ მსოფლმხედველობებს, რაც ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში ითავსებს მშობლების მიერ ჩვილობის ასაკში განხორციელებულ შფოთვის შემცირების ფაქტის ფუნქციას (Harvell & Nisbett, 2016).

შესაბამისად, ტერორის მართვის თეორიის შედარებით გვიანდელ ლიტერატურაში ვაწყდებით მესამე ე.წ. „შფოთვის ბუფერს“ – სანდო მიჯაჭვულობას (Harvell and Nisbettm, 2016), რომელიც ინდივიდს ეხმარება დაძლიოს სიკვდილის

ISSN2667-9825(online)

მიმართ შფოთვა, რადგან კვლევების თანახმად, იგი დაკავშირებულია მსოფლმხედველობისა და თვითშეფასების ზრდასთან (Cox and Arndt, 2012).

ტერორის მართვის თეორიის შემდგომი გადახედვის ეტაპზე წამოიჭრა ახალი საკითხები, მაგალითად, როგორიცაა, კულტურის წარმომავლობა, რომლის საფუძვლად ავტორები განიხილავენ შიშის შემცირების მოტივაციას (Pyszczynski et al., 2015). კერძოდ, შიშის შემამცირებელი რწმენები და ღირებულებები, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთისაგან გადაეცემოდა, ჩამოყალიბდა როგორც კულტურული ცოდნა (Pyszczynski et al., 2015). ასევე, საკვლევ საკითხად იქცა ფსიქოპათოლოგია, რომელიც თეორიის ფარგლებში განიხილება, როგორც დისფუნქციური შფოთვის ბუფერების შედეგები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სიკვდილის მიმართ შფოთვასთან გამკლავებას (Pyszczynski and Kesebir, 2011). მაგალითად, კვლევების მიხედვით, სიკვდილის შეხსენება უკავშირდება ფსიქოლოგიური აშლილობების სიმპტომების გამოვლენას (Strachan et al., 2007).

თვითშეფასება

თვითშეფასება, ზოგადი გაგებით, არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, იქნება ეს დადებითი, თუ – უარყოფითი (Rosenberg et al. 1995). ტერორის მართვის თეორია თვითშეფასებას დაცვით ფუნქციად განიხილავს, რაც ადამიანებს იცავს იმ შფოთვისაგან, რომელიც სიკვდილის აუცილებლობის გაანალიზებას მოჰყვება (Harvell and Nisbett, 2016). როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეორიის მიხედვით, მაღალი თვითშეფასების მქონე ინდივიდებს აქვთ განცდა, რომ მათი კულტურისათვის მნიშვნელოვან ღირებულებებს აკმაყოფილებენ (Anon, 2004). ეს შესაძლებლობას აძლევს, იფიქრონ, მათ შეუძლიათ მიაღწიონ სიმბოლურ თუ რეალურ უკვდავებას (Dechesne et al., 2003). ჩატარდის კვლევები ადასტურებენ, რომ სიკვდილის გარდაუვლობის გახსენებისას ადამიანებს ეზრდებათ სწრაფვა თვითშეფასების დაცვისა და საკუთარი კულტურული ღირებულებების ერთგულებისკენ (Chatard et al., 2011). ამასთან ერთად, სიკვდილის შეხსენების შემდეგ იზრდება ტენდენცია, ადამიანებმა დადებითად შეაფასონ საკუთარი პიროვნება (Dechesne et al., 2003). მეორე მხრივ, კვლევები მოწმობს, როცა თვითშეფასებას საფრთხე ემუქრება, ეს მნიშვნელოვნად ზრდის სიკვდილის მიმართ შფოთვას (Routledge, 2012).

მიჯაჭვულობა

მიჯაჭვულობა წარმოადგენს ინდივიდის მახასიათებელს, რომელიც დაკავშირებულია სხვებთან ინტიმური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობასთან (Weise et al., 2008). ჯონ ბოულბი, მიჯაჭვულობის განვითარების თეორიის ავტორი, მიიჩნევდა, მიჯაჭვულობა ინდივიდის შინაგანი რესურსია, რომელსაც იყენებს სტრესულ მოვლენებთან გასამკლავებლად, რადგან ამგვარი

ISSN2667-9825(online)

დამოკიდებულობა უბიძგებს ადამიანს, ურთიერთობა დაამყაროს იმ პირებთან, რომლებიც დაეხმარებიან მას სტრესთან გამკლავებაში (Mikulincer & Florian, 2000). ბოულბი მიიჩნევდა, რომ ჩვილის ადრეული ურთიერთობის ნიმუში მის მზრუნველთან ცხოვრების განმავლობაში გავლენას ახდენს მომავალ ქცევებსა და მიჯაჭვულობის გამოვლინებებზე (Weise et al., 2008). მერი ეინსვორტმა კი პირველად გამოყო მიჯაჭვულობის ორი სტილი დედა-შვილის ურთიერთობის მიხედვით, ესენია: სანდო და არასანდო მიჯაჭვულობა (Keller, 2018).

სანდო მიჯაჭვულობა განსაზღვრავს ინდივიდის უნარს, ჩამოაყალიბოს ინტიმური ურთიერთობები და კომფორტულად იგრძნოს თავი მათში. არასანდო მიჯაჭვულობის შემთხვევაში ინდივიდი ერიდება ინტიმური ურთიერთობების დამყარებას და არ გრძნობს თავს კომფორტულად, როდესაც სხვებზე არის დამოკიდებული (Mikulincer and Shaver, 2003). აღსანიშნავია, რომ ინტიმური ურთიერთობები ინდივიდში უსაფრთხოების განცდას უზრუნველყოფს (Maxfield, John and Pyszczynski, 2014). მაგალითად, კვლევების მიხედვით, რომანტიკული ურთიერთობები ითავსებს მრავალ იმ ფუნქციას, რომლებსაც ადრე ინდივიდისათვის მშობლები ასრულებდნენ, რომელთა შორის არის სიკვდილის მიმართ შფოთვასთან გამკლავება (Mikulincer, Florian and Hirschberger, 2004). შესაბამისად, ახლო და სანდო ურთიერთობები უზრუნველყოფს იზოლაციის განცდის შემცირებასა და უსაფრთხოების განცდის ზრდას (Shaver and Mikulincer, 2012). რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ინდივიდის მსოფლმხედველობის სხვების მიერ აღიარებასა და ადამიანის თვითშეფასების ზრდასთან (Yaakobi, Mikulincer and Shaver, 2014). კვლევების მიხედვით, სანდო მიჯაჭვულობის მქონე ინდივიდებს ახასიათებთ სიკვდილის მიმართ უფრო ნაკლები შფოთვა, ვიდრე – არასანდო მიჯაჭვულობის მქონეებს, რადგანაც ისინი ახლო ურთიერთობების საშუალებით იღებენ იმ მხარდაჭერას (კერძოდ, მსოფლმხედველობის მხარდაჭერასა და თვითშეფასების ზრდას), რომელიც, ტერორის მართვის თეორიის მიხედვით, საჭიროა სიკვდილთან გასამკლავებლად (Cox et al., 2008).

ჩვენი კვლევის მიზანია, გავცეთ პასუხი კითხვაზე: როგორ არის დაკავშირებული სიკვდილის მიმართ შფოთვა თვითშეფასებასა და მიჯაჭვულობასთან ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც ინდივიდი ცნობიერად არ ფიქრობს სიკვდილზე. უფრო კონკრეტულად, რა კავშირი არსებობს მაღალ და დაბალ თვითშეფასებასა და სიკვდილის მიმართ შფოთვის დონესთან. ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში განხორციელებული კვლევები ეფუძნება ექსპერიმენტებს, რომელთა მიმდინარეობისას მონაწილეს, ძირითადად, ახსენებენ სიკვდილს, რის შედეგადაც ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეფასება იზრდება ან პირიქით, თვითშეფასების ამაღლება იწვევს სიკვდილის მიმართ შფოთვის შემცირებას (Schmeichel et al., 2009). ჩვენ გვაინტერესებს, ყოველგვარი მანიპულაციის გარეშე, თვითშეფასების განსაზღვრული დონე, დაკავშირებულია, თუ – არა სიკვდილის მიმართ შფოთვასთან. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში ვიყენებთ კითხვარებს, რომლებიც ზომავს

ISSN2667-9825(online)

ინდივიდის თვითშეფასებასა და მისი სიკვდილის მიმართ შფოთვის დონეს. თუ ტერორის მართვის თეორიის ექსპერიმენტების თანახმად, თვითშეფასების ზრდა ამცირებს სიკვდილის მიმართ შფოთვას (Pyszczynski et al., 2015), ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მაღალი თვითშეფასება უკავშირდება სიკვდილის მიმართ დაბალ შფოთვას და, პირიქით, დაბალი თვითშეფასება – სიკვდილის მიმართ მაღალ შფოთვას.

ასევე, ჩვენი კვლევის მეორე კითხვაა: არსებობს, თუ – არა კავშირი მიჯაჭვულობის სანდო და არასანდო ტიპსა და სიკვდილის მიმართ შფოთვას შორის, როდესაც ინდივიდი ცნობიერად არ ფიქრობს სიკვდილზე. ტერორის მართვის თეორიის ექსპერიმენტების ფარგლებში მიღებული შედეგების თანახმად, სანდო მიჯაჭვულობის, კერძოდ, ახლო, ინტიმური ურთიერთობების შეხსენება ამცირებს სიკვდილის მიმართ შფოთვას (Hart, Shaver and Goldenberg, 2005), ამავდროულად, არასანდო მიჯაჭვულობის მქონე ინდივიდები გამოხატავენ უფრო მეტ შფოთვას სიკვდილის მიმართ (Scheffold et al., 2018). ჩვენი კვლევის კითხვა ეხება ინდივიდის უნარს, ჩამოაყალიბოს ინტიმური ურთიერთობები და გვაინტერესებს, რა კავშირი აქვს ამას სიკვდილის მიმართ შფოთვასთან. ამის გამო, ვიყენებთ ზრდასრულების მიჯაჭვულობის კითხვარს, რათა განვსაზღვროთ ინდივიდის ამჟამინდელი ურთიერთობების ხარისხის კავშირი სიკვდილის მიმართ შფოთვასთან. ტერორის მართვის თეორიის ზემოთ ნახსენები კვლევების შედეგების გათვალისწინებთ, ვვარაუდობთ სანდო მიჯაჭვულობის კავშირს სიკვდილის მიმართ დაბალ შფოთვასთან, ხოლო არასანდო მიჯაჭვულობის – სიკვდილის მიმართ მაღალ შფოთვასთან.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: ყოველდღიურ ცხოვრებაში, სიკვდილის შეხსნების გარეშე, არსებობს თუ – არა მიმართება სიკვდილის მიმართ შფოთვასა და თვითშეფასებას შორის? ასევე, სიკვდილის ცნობიერად გახსენების გარეშე, რა მიმართება არსებობს არასანდო და სანდო მიჯაჭვულობასა და სიკვდილის მიმართ შფოთვას შორის?

კვლევის ჰიპოთეზები:

1. მაღალი თვითშეფასება უარყოფით კორელაციაშია სიკვდილის მიმართ შფოთვასთან, დაბალი თვითშეფასება კი – დადებით კორელაციაში.

2. სანდო მიჯაჭვულობა უარყოფითად კორელირებს სიკვდილის მიმართ შფოთვასთან, არასანდო კი – დადებითად.

ISSN2667-9825(online)

კვლევის დიაზაინი და მეთოდოლოგია: შერჩევა, მეთოდი და ინსტრუმენტები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 127-მა ადამიანმა (100 ქალი და 27 კაცი). მათი ასაკი ვარირებდა 18-დან 35-მდე. 11 მონაწილის მონაცემები არ გაანალიზდა, რადგან მათი ასაკი აღემატებოდა 35 წელს და დამუშავდა მხოლოდ 127 მონაწილის მონაცემი (100 ქალი და 27 კაცი) (M=24.67; SD=4.81).

თვითშეფასების საკვლევად გამოყენებული იყო როზენბერგის თვითშეფასების სკალა (Rosenberg Self-Esteem Sclae) (Rosenberg, 1965). ინსტრუმენტი შედგება 10 დებულებისაგან და ლაიკერტის ტიპის 4-პუნქტიანი სკალით ზომავს ინდივიდის თვითშეფასებას, რომლის მიხედვითაც, 1 გულისხმობს „სრულიად ვეწინააღმდეგები“, ხოლო 4 – „სრულიად ვეთანხმები“. რაც უფრო მაღალ ქულებს იღებს რესპონდენტი, მიჩნეულია, რომ მით უფრო მაღალი თვითშეფასება აქვს მას. თვითშეფასების კითხვარის 10 დებულებისათვის კრონბახის ალფა იყო .87 (მაღალი სანდოობა).

მიჯაჭვულობის სტილის საკვლევად გამოყენებული იყო ზრდასრულების მიჯაჭვულობის სკალა (Adult attachment scale) (Collins, 1996). ინსტრუმენტი შედგება ახლო, დამოკიდებულებითი და შფოთვითი მიჯაჭვულობის სტილის სკალებისაგან. თითოეულ სკალას შეესაბამება 6 დებულება (სულ 18 დებულებისაგან შედგება მთლიანი კითხვარი). პასუხის გასაცემად რესპონდენტს ეძლევა ლაიკერტის ტიპის სკალა, რომელიც შედგება 5 პუნქტისაგან (1=საერთოდ არ მახასიათებს, 5 = ძალიან მახასიათებს). მონაცემთა გაანალიზებისას, კითხვარზე მითითებული ინსტრუქციის გათვალისწინებით ახლო და დამოკიდებულებითი მიჯაჭვულობის სტილი გაერთიანდა სანდო მიჯაჭვულობის სტილში, შფოთვითი კი არასანდო. სანდო მიჯაჭვულობის 12 და არასანდო მიჯაჭვულობის 6 დებულებისათვის კრონბახის ალფა იყო .74 და .88, რაც მიუთითებს მაღალ სანდოობაზე.

სიკვდილის მიმართ შფოთვის საკვლევად გამოყენებული იყო სიკვდილის შფოთვის სკალა (Templer Death Anxietty Scale) (Templer, 1970). კითხვარი შედგება 14 დებულებისაგან და ლაიკერტის ტიპის 5-პუნქტიანი სკალით ზომავს ინდივიდის სიკვდილის მიმართ შფოთვას, რომელშიც 1 = სრულიად ვეწინააღმდეგები, 5 = სრულიად ვეთანხმები. მაღალი ქულები დაკავშირებულია სიკვდილის მიმართ მაღალ შფოთვასთან. სიკვდილის მიმართ შფოთვის 14 დებულება აღმოჩნდა მაღალი სანდოობის მქონე (α=.81).

სოციალური ქსელის, Facebook.com-ის, გამოყენებით მონაწილეებს გაეგზავნათ ოთხივე კითხვარი, რომლებიც ონლაინ ფორმატში შეავსეს. ბოლო შესავსები კითხვარი იყო სიკვდილის მიმართ შფოთვის სკალა, რადგან სიკვდილის შეხსენებას არ ჰქონოდა გავლენა სხვა ცვლადებზე (თვითშეფასებასა და მიჯაჭვულობის სტილზე). მონაწილეები კითხვარის შევსების დაწყებამდე გაეცნენ კონფიდენციალურობისა და მონაცემთა გამოყენების პირობებს. კვლევაში მონაწილეობისათვის ინდივიდებს არ მიუღიათ არანაირი ჯილდო.

ISSN2667-9825(online)

შედეგები

სქესთაშორისი განსხვავებები

დამოუკიდებელი შერჩევის T ტესტის გამოყენებით გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავება:

სანდო მიჯაჭვულობის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალი აღმოჩნდა კაცებთან (M=3.36; SD=.52), ვიდრე – ქალებთან (M=3.08; SD=.69), t(125)=-2.035, p<.05. თუმცა არასანდო მიჯაჭვულობის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო ქალებთან (M=2,72; SD=1,16), ვიდრე – კაცებთან (M=2,1; SD=.99), t(125)=2,542, p<.05. სიკვდილის მიმართ შფოთვის სკალის მაჩვენებელი კი უფრო მაღალი იყო ქალებთან (M=3.21; SD=.72), ვიდრე – კაცებთან (M=2.89; SD=.74), t(125)=2.019, p<.05.

თვითშეფასების სკალის უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ ქალებს (M=2,28; SD=.60), ვიდრე – კაცებს (M=2.09; SD=.58), თუმცა სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა t(125)=1.427, p=.156.

ცხრილი N1. სქესთაშორისი განსხვავებები

	მდედრობითი			მამრობითი		
	N	M	SD	*N*	*M*	*SD*
თვითშეფასება	*100*	*2.28*	*.60*	*27*	*2.09*	*58*
უსაფრთხო მიჯაჭვულობა	*100*	*3.08*	*.69*	*27*	*3.36*	*52*
არაუსაფრთხო მიჯაჭვულობა	*100*	*2.72*	*1.16*	*27*	*2.1*	*99*
სიკვდილის მიმართ შფოთვა	*100*	*3.21*	*72*	*24*	*2.89*	*74*

ასაკთაშორისი განსხვავებები

ასაკის მიხედვით, სკალების შეფასების საფუძველზე, გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვაობა:

(მონაწილეთა განაწილება ასაკის მიხედვით მოხდა შემდეგ ორ კატეგორიაში: 1 ჯგუფი = 18-25 წლამდე; 2 ჯგუფი = 26-35 წლამდე)

თვითშეფასების სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო პირველ ჯგუფში (M=2.35; SD=.60), ვიდრე – მეორე ჯგუფში (M=2.01; SD=.55), t(125)=3.154, p<0.01. მიჯაჭვულობის სტილის შემთხვევაში სანდო მიჯაჭვულობის სკალის მაჩვენებელი მაღალი აღმოჩნდა უფროსებთან (M=3.30; SD=.57), ვიდრე –უმცროსებთან (M=3.06;

ISSN2667-9825(online)

SD=.69), t(96,629)=-2.072, p<.05. არასანდო მიჯაჭვულობის სკალის მაჩვენებელი კი უფრო მაღალი იყო უმცროსებთან (M=2.81; SD=1.15), ვიდრე – უფროსებთან (M=2.13; SD=1.01), t(125)=3.295, p<.01.

სიკვდილის მიმართ შფოთვის სკალის მაჩვენებლის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა პირველსა (M=3.22; SD=.73) და მეორე ჯგუფს (M=2.98; SD=.71) შორის, t(125)=1.759, p=.081.

ცხრილი N2. ასაკთაშორისი განსხვავებები

	პირველი ჯგუფი (18-25 წელი)			მეორე ჯგუფი (26-35 წელი)		
	N	M	SD	N	M	SD
თვითშეფასება	85	2.35	6	42	2.01	55
უსაფრთხო მიჯაჭვულობა	85	3.06	69	42	3.3	57
არაუსაფრთხო მიჯაჭვულობა	85	2.81	.15	42	2.12	1.01
სიკვდილის მიმართ შფოთვა	85	3.22	.73	42	2.98	.71

კორელაციები

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) მივიღეთ კავშირი შემდეგ ცვლადებს შორის:

სიკვდილის მიმართ შფოთვა

სიკვდლის მიმართ შფოთვა დადებითად კორელირებს თვითშეფასებასა (*r*=.29, *p*<.01) და არასანდო მიჯაჭვულობასთან. (*r*=.25. *p*<.01). თუმცა, მათ შორის არის სუსტი კავშირი (იხ. ცხრილი N1).

თვითშეფასება

თვითშეფასება დადებითია, თუმცა სუსტ კორელაციაშია სიკვდილის მიმართ შფოთვასთან (*r*=-.29, *p*<.01). ასევე, თვითშეფასებასა და არასანდო მიჯაჭვულობას შორის არსებობს საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია (*r*=.47, *p*<.01). ასევე, საშუალო სიძლიერის უარყოფითი კორელაცია არსებობს თვითშეფასებასა და სანდო მიჯაჭვულობას შორის (*r*=-.39, *p*<.01) (იხ. ცხრილი N1).

ISSN2667-9825(online)

მიჯაჭვულობის სტილი: სანდო და არასანდო

არასანდო მიჯაჭვულობის სტილი დადებითად კორელირებს სიკვდილის მიმართ შფოთვასთან, სუსტი კავშირით (r=-.25, p<.01). ასევე, არსებობს საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია არასანდო მიჯაჭვულობასა და თვითშეფასებას შორის (r=.47, p<.01) (იხ. ცხრილი N1).

მიჯაჭვულობის სანდო სტილსა და სიკვდილის მიმართ შფოთვას შორის გამოვლინდა უარყოფითი კავშირის ტენდენცია, თუმცა შედეგები სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა (r=.11, p>.05). ასევე, სანდო მიჯაჭვულობა საშუალო სიძლიერით უარყოფითად კორელირებს თვითშეფასებასთან (r=-.39, p<.01) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი N3. კორელაციები სიკვდილის მიმართ შფოთვას, თვითშეფასებას, სანდო და არასანდო მიჯაჭვულობას შორის

	სიკვდილის მიმართ შფოთვა	*თვითშეფასება*	*სანდო მიჯაჭვულობა*	*არასანდო მიჯაჭვულობა*
სიკვდილის მიმართ შფოთვა		294**	.114	253**
თვითშეფასება	.294**		389**	.473**
სანდო მიჯაჭვულობა	-.114	389**		
არასანდო მიჯაჭვულობა	.253**	473**		

** p ≤ .01; * p ≤ .05

რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა სტანდარტულმა, მრავლობითმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ:

1. ჩვენი ცვლადები ხსნიან სიკვდილის მიმართ შფოთვის 8%-ს, R^2_{ADJ}=.11 F(4,122)=3.745, p<.05. თუმცა აღმოჩნდა, რომ მხოლოდ თვითშეფასება წინასწარმეტყველებდა მნიშვნელოვნად სიკვდილის მიმართ შფოთვას (β=.23, p<.05) (იხ. ცხრილი N4).

ISSN2667-9825(online)

ცხრილი N4. რეგრესიები სიკვდილის მიმართ შფოთვას, თვითშეფასებასა და მიჯაჭვულობის სანდო და არასანდო სტილს შორის.

	თვითშეფასება			სანდო მიჯაჭვულობა			აარასანდო მიჯაჭვულობა		
	B	SE	β	B	SE	β	B	SE	β
სიკვდილის მიმართ შფოთვა	28	12	23*	04	11	04	.09	06	14
R^2					.109				
F					3.745				

*p < .05.

2. დამატებით ჩატარებულმა სტანდარტულმა, მრავლობითმა რეგრესიამ გამოვლინა, რომ მიჯაჭვულობის ორივე სტილი (სანდო და არასანდო) ხსნის თვითშეფასების 26,2%-ს R^2_{ADJ} =.26, F(2,124)=, p<0005. არასანდო მიჯაჭვულობის სტილი აღმოჩნდა უფრო მაღალი პრედიქტორული ღირებულების მქონე (β=.38, p< .01), ვიდრე – სანდო მიჯაჭვულობა (β=-.24, p<.01), იმის მიუხედავად, რომ ორივე მათგანი სტატისტიკურად მნიშვნელოვან კონტირბუციას იძლევა თვითშეფასების პრედიქციაში (იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5. რეგრესიები თვითშეფასებასა და მიჯაჭვულობის სტილს შორის

	სანდო მიჯაჭვულობა			არასანდო მიჯაჭვულობა		
	B	SE	β	B	SE	β
თვითშეფასება	.22	07	.24**	198	04	38**
R^2			.274			
F			23.400			

*p < .05. **p < .01.

ISSN2667-9825(online)

მიღებული შედეგების განხილვა

მიღებული შედეგების თანახმად, სიკვდილის მიმართ შფოთვა თვითშეფასებასა და არასანდო მიჯაჭვულობასთან დადებითი კორელაციით ხასიათდება. მათ შორის, მხოლოდ თვითშეფასება აღმოჩნდა სიკვდილის მიმართ შიშის პრედიქტორი. სანდო მიჯაჭვულობა არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული სიკვდილის მიმართ შფოთვასთან.

სიკვდილის მიმართ მაღალი შფოთვის კავშირი მაღალ თვითშეფასებასთან ეწინააღმდეგება არსებულ მონაცემებს. კერძოდ, ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების თანახმად, ეგზისტენციალური საფრთხის მიმართ შფოთვა მცირდება თვითშეფასების გაზრდის პირობებში (Weise et al., 2008). ამავდროულად, როდესაც ინდივიდს ახსენებენ სიკვდილს, ეს ზრდის მის მიერ თვითშეფასების შენარჩუნებისა და ზრდის ტენდენციას, ხოლო სიკვდილის მიმართ შფოთვა მცირდება (Cowie, 2018). განსხვავებული შედეგები, ერთი მხრივ, კვლევის დიზაინით აიხსნება, რადგანაც ჩვენი კვლევა ეფუძნება კითხვარებს, შესაძლოა, სოციალურ სასურველობას ჰქონოდა გავლენა ინდივიდების მიერ საკუთარი თავის შეფასებაზე.

მეორე მხრივ, თვითშეფასების შედეგები შესაძლოა, უკავშირდებოდეს კულტურულ ფაქტორებს. კერძოდ, ტერორის მართვის თეორიის კვლევების მიხედვით, ის, თუ რა სტრატეგიას გამოიყენებს ინდივიდი სიკვდილის მიმართ შფოთვასთან გასამკლავებლად, კულტურათა შორის განსხვავდება, რისი მიზეზიც მათი განსხვავებული მსოფლმხედველობაა (Pyszczynski et al., 2015). მაგალითად, ინდივიდუალისტურ კულტურაში წახალისებულია ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც ღირებულის წარმოჩენა, კოლექტივისტურში კი – ერთობლივი მიზნებისკენ სწრაფვა და თავმდაბლობა (Kashima et al., 2004). ჩვენი კვლევის შერჩევა შედგებოდა ქართველებისაგან, რომლებიც ივანე წერეთლის და ქეთევან კაკიტელაშვილის მიხედვით, ფსიქოლოგების მიერ კოლექტივისტური კულტურის წევრებად განიხილებიან (წერეთელი, კაკიტელაშვილი, 2006), რის გამოც, ვვარაუდობთ, თვითშეფასების კავშირს კულტურულ ფაქტორებთან. რამდენადაც კოლექტივისტურ კულტურაში წახალისებულია თავმდაბლობა (Kashima et al., 2004), ის, ვინც ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, თანხმდება დომინანტური კულუტურის მსოფლმხედველობასთან, რაც, შესაძლოა, თავის მხრივ, უკავშირდებდეს სიკვდილის მიმართ შფოთვის შემცირებას, რადგანაც, ტერორის მართვის თეორიის კვლევების მიხედვით, სხვების მიერ ჩვენი შეხედულებების მხარდაჭერა ამცირებს სიკვდილის შფოთვას (Pyszczynski et al., 2015).

რაც შეეხება არასანდო მიჯაჭვულობის დადებით კავშირს სიკვდილის მიმართ შფოთვასთან, ეს არ იყო მოულოდნელი შედეგი, რადგანაც მსგავსი შედეგი დასტურდება სხვადასხვა კვლევაში (Scheffold et al., 2018). რადგან სანდო მიჯაჭვულობა დაკავშირებულია დისტრესის შემცირებასთან (Harvell and Nisbett, 2016),

ISSN2667-9825(online)

არსებობს ვარაუდი, რომ სანდო ურთიერთობები ინდივიდს ეხმარება, გაუმკლავდეს სიკვდილისაგან გამოწვეულ შფოთვას (Cox et al., 2008), რის მიზეზადაც შესაძლოა, დავასახელოთ ემოციური უსაფრთხოების განცდა და ინდივიდის მსოფლმხედველობის მხარდაჭერა (Mikulincer, Florian and Hirschberger, 2003). შესაბამისად, არასანდო მიჯაჭვულობის მქონე ინდივიდები ჯანსაღი ემოციური სიახლოვის დეფიციტის გამო ვერ იღებენ სხვებისაგან იმ მხარდაჭერას, რომელიც საჭიროა სიკვდილის მიმართ შფოთვის შესამცირებლად, რაც, პირიქით, მის ზრდას იწვევს. დამატებით, ტერორის მართვის თეორიის ავტორების მიხედვით, სიკვდილის მიმართ შფოთვა ხასიათდება სპეციფიკით, რომ მის დასაძლევად საჭიროა სხვების მხრიდან ჩვენი მსოფლმხედველობის მხარდაჭერა, რადგანაც ისინი სამყაროს შესახებ არაობიექტური და ბუნდოვანი კონსტრუქტებია (Pyszczynski et al., 2015). ამდენად, სანდო ურთიერთობები შესაძლოა, სიკვდილის მიმართ შფოთვას ამცირებდეს სხვების მხრიდან მსოფლმხედველობის მხარდაჭერის გზით (Yaakobi et al., 2014).

ამავდროულად, გამოიკვეთა უარყოფითი ტენდენცია სანდო მიჯაჭვულობასა და სიკვდილის მიმართ შფოთვას შორის, თუმცა ეს შედეგი სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მიღებული შედეგები შესაძლოა, გამოწვეულია მცირე შერჩევის გამო, რადგან არასანდო მიჯაჭვულობისას (საპირისპირო შემთხვევაში) დადასტურდა მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი. ასევე, აღსანიშნავია სქესთაშორისი განსხვავებები. რამდენადაც სანდო მიჯაჭვულობის სკალაზე უფრო მაღალი ქულები დააგროვეს კაცებმა, ხოლო ქალებმა – სიკვდილის მიმართ შფოთვის სკალაზე. ვვარაუდობთ, ამან გავლენა მოახდინა ჩვენს მონაცემებზე. კერძოდ, რადგანაც უფრო მეტმა ქალმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა, კავშირი სანდო მიჯაჭვულობასა და სიკვდილის მიმართ შფოთვას შორის სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა.

მიღებული უარყოფითი ტენდენცია კი აიხსნება იმით, რომ სანდო მიჯაჭვულობა დაკავშირებულია სხვებთან ახლო ურთიერთობების მაღალ ხარისხთან, რაც უზრუნველყოფს სხვების მიერ ინდივიდის მსოფლმხედველობის მხარდაჭერას, თავის მხრივ, ეს ხელს უწყობს მისი ეგზისტენციალური შფოთვის შემცირებას (Mikulincer and Shaver, 2003).

საბოლოოდ, დამატებითი ანალიზის შედეგად დადასტურდა დადებითი კავშირი არასანდო მიჯაჭვულობასა და თვითშეფასებას შორის და პირიქით – უარყოფითი კორელაცია თვითშეფასებასა და სანდო მიჯაჭვულობას შორის. მიღებულ შედეგებზე შესაძლოა, გავლენა ჰქონოდა ასაკს, კერძოდ, 18-დან 25 წლამდე ინდივიდებმა, რომელთა რაოდენობაც მკვეთრად აღემატებოდა 26-დან 35 წლამდე მონაწილეებისას, მნიშვნელოვნად მაღალი ქულები აიღეს არასანდო მიჯაჭვულობისა და თვითშეფასების სკალებზე. ვვარაუდობთ, ამან გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე, თუმცა ასაკთაშორისი განსხვავებების მიზეზის დადგენა ჩვენი კვლევის მიხედვით შეუძლებელია. ამის გამო, მომავალი კვლევის პერსპექტივად, შესაძლოა, განვიხილოთ სანდო და არასანდო მიჯაჭვულობისა და თვითშეფასების კავშირი ასაკობრივი განვითარების თავისებურებებთან.

ISSN2667-9825(online)

დასკვნა

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სიკვდილის ცნობიერად გახსენების გარეშე თვითშეფასების გაზომვა, მიჯაჭვულობის სტილის დადგენა და მათი კავშირის პოვნა სიკვდილის მიმართ შფოთვასთან. მიღებული შედეგების მიხედვით, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზიდან ნაწილობრივ გამართლდა მხოლოდ ერთი, რომლის თანახმადაც, არასანდო მიჯაჭვულობა დადებითადაა დაკავშირებული სიკვდილის მიმართ მაღალ შფოთვასთან, რაც ავხსენით არასანდო ინტიმური ურთიერთობების კავშირით უსაფრთხოების განცდის შემცირებასთან და სხვების მხრიდან ინდივიდის მსოფლმხედველობის მხარდაჭერის დეფიციტთან.

ამავდროულად, გამოვლინდა სანდო მიჯაჭვულობის უარყოფითი კავშირის ტენდენცია სიკვდილის მიმართ მაღალ შფოთვასთან, თუმცა სტატისტიკურად უმნიშვნელო, რაც შესაძლოა, კაცი მონაწილეების გავლენით მივიღეთ, რომლებიც გამოკვეთილად მცირე რაოდენობით იყვნენ კვლევაში ჩართული, ვიდრე – ქალები და ჰქონდათ უფრო მაღალი ქულები სანდო მიჯაჭვულობის სკალაზე.

საბოლოოდ, ჩვენი ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ დადასტურდა დადებითი კორელაცია მაღალ თვითშეფასებასა და სიკვდილი მიმართ შფოთავს შორის. მიღებული შედეგები შეიძლება აიხნსას, ერთი მხრივ, სოციალური სასურველობით, მეორე მხრივ, ვივარაუდეთ, მონაწილეთა კოლექტივისტური კულტურის კავშირი საკუთარი თავის შეფასებასთან. დაბალი თვითშეფასება დაკავშირებულია სიკვდილის მიმართ დაბალ შფოთვასთან დომინანტური მსოფლმხედველობის დაკმაყოფილების გზით, რომელიც ახალისებს თავმდაბლობას.

როგორც აღმოჩნდა, სიკვდილის შფოთვასთან გასამკლავებლად გასათვალისწინებელია ინდივიდის ინტიმური ურთიერთობების ხარისხი, განსაკუთრებით, არასანდო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ეგზისტენციალური შიშის დაძლევასთან დაკავშირებული ფაქტორების გაძლიერებას, როგორებიცაა, პიროვნების მსოფლმხედველობის მხარდაჭერა და უსაფრთხოების განცდა (Bassett 2007). რადგან კვლევა ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის მცირე შერჩევაზე, შედეგებს ვერ განვაზოგადებთ, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, მნიშვნელოვანია კულტურული ფაქტორების გათვალისწინება, იმისათვის, რომ გავიგოთ სიკვდილის შფოთვასთან თვითშეფასების კავშირის ბუნება. ამის მიზეზად განვიხილავთ კულტურული ფაქტორების შესაძლო კავშირს იმასთან, თუ როგორ აფასებენ ინდივიდები საკუთარ თავს, რაც, თავის მხრივ, კორელირებს სიკვდილის მიმართ შფოთვასთან.

კვლევის შეზღუდვები და ღირებულებები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა გარკვეული შეზღუდვები. მრავალ ცვლადში დაფიქსირდა სქესთა თუ ასაკთაშორისი განსხვავებები. მაგალითად, კვლევაში

ISSN2667-9825(online)

გაცილებით მეტმა ქალმა (100) მიიღო მონაწილეობა, ვიდრე – კაცმა (27). ასევე, განსხვავება იყო ასაკთა შორის, მონაწილეები, რომელთა ასაკი 25-ზე ნაკლები იყო (85), აჭარბებდა 26-35 წლის ჯგუფის ინდივიდების რაოდენობას (42). შესაბამისად, ამ განსხვავებებს, შესაძლოა, გავლენა ჰქონოდათ, საბოლოო შედეგებზე.

ამასთან ერთად, ჩვენს შერჩევას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობა, რაც შედეგების განზოგადების საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა ეს ფაქტი ღირებულს ხდის ჩვენს კვლევას, რადგან გვთავაზობს განსხვავებული ქვეყნის მონაცემებს ტერორის მართვის თეორიის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

წერეთელი ი, კაკიტელაშვილი ქ. 2006. კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Abeyta, Andrew A., Jacob Juhl, and Clay Routledge. 2014. “Exploring the Effects of Self-Esteem and Mortality Salience on Proximal and Distally Measured Death Anxiety: A Further Test of the Dual Process Model of Terror Management.” Motivation and Emotion 38(4):523–28. doi: 10.1007/s11031-014-9400-y.

Anon. 2004. Handbook of Experimental Existential Psychology. New York, NY, US: Guilford Press.

Bassett, Jonathan F. 2007. “Psychological Defenses Against Death Anxiety: Integrating Terror Management Theory and Firestone’s Separation Theory.” Death Studies 31(8):727–50. doi: 10.1080/07481180701490628.

Burke, Brian L., Andy Martens, and Erik H. Faucher. 2010. “Two Decades of Terror Management Theory: A Meta-Analysis of Mortality Salience Research.” Personality and Social Psychology Review 14(2):155–95. doi: 10.1177/1088868309352321.

Chatard, Armand, Leila Selimbegović, Paul N’Dri Konan, Jamie Arndt, Tom Pyszczynski, Fabio Lorenzi-Cioldi, and Martial Van der Linden. 2011. “Terror Management in Times of War: Mortality Salience Effects on Self-Esteem and Governmental and Army Support.” Journal of Peace Research 48(2):225–34. doi: 10.1177/0022343310397435.

Cowie, Helen. 2018. “Handbook of Attachment: Theory, Research, and Clinical Applications. Third Edition.” Pastoral Care in Education 36(1):71–73. doi: 10.1080/02643944.2018.1429117.

Cox, Cathy R., and Jamie Arndt. 2012. “How Sweet It Is to Be Loved by You: The Role of Perceived Regard in the Terror Management of Close Relationships.” Journal of Personality and Social Psychology 102(3):616–32. doi: 10.1037/a0025947.

Cox, Cathy R., Jamie Arndt, Tom Pyszczynski, Jeff Greenberg, Abdolhossein Abdollahi, and Sheldon Solomon. 2008. “Terror Management and Adults’ Attachment to Their Parents: The Safe Haven Remains.” Journal of Personality and Social Psychology 94:696–717. doi: 10.1037/0022-3514.94.4.696.

ISSN2667-9825(online)

Dechesne, Mark, Tom Pyszczynski, Jamie Arndt, Sean Ransom, Kennon M. Sheldon, Ad van Knippenberg, and Jacques Janssen. 2003. "Literal and Symbolic Immortality: The Effect of Evidence of Literal Immortality on Self-Esteem Striving in Response to Mortality Salience." Journal of Personality and Social Psychology 84(4):722–37. doi: 10.1037/0022-3514.84.4.722.

Greenberg, Jeff, Sander Leon Koole, and Thomas A. Pyszczynski. 2004. Handbook of Experimental Existential Psychology. Guilford Press.

Greenberg, Jeff, Andy Martens, Eva Jonas, Donna Eisenstadt, Tom Pyszczynski, and Sheldon Solomon. 2003. "Psychological Defense in Anticipation of Anxiety: Eliminating the Potential for Anxiety Eliminates the Effect of Mortality Salience on Worldview Defense." Psychological Science 14(5):516–19. doi: 10.1111/1467-9280.03454.

Greenberg, Jeff, Tom Pyszczynski, Sheldon Solomon, Abram Rosenblatt, Mitchell Veeder, Shari Kirkland, and Deborah Lyon. 1990. "Evidence for Terror Management Theory II: The Effects of Mortality Salience on Reactions to Those Who Threaten or Bolster the Cultural Worldview." Journal of Personality and Social Psychology 58:308–18. doi: 10.1037/0022-3514.58.2.308.

Hart, Joshua, Phillip R. Shaver, and Jamie L. Goldenberg. 2005. "Attachment, Self-Esteem, Worldviews, and Terror Management: Evidence for a Tripartite Security System." Journal of Personality and Social Psychology 88:999–1013. doi: 10.1037/0022-3514.88.6.999.

Harvell, Lindsey A., and Gwendelyn S. Nisbett. 2016. Denying Death: An Interdisciplinary Approach to Terror Management Theory. Psychology Press.

Hayes, Joseph. 2017. "Terror Management Theory." Pp. 1–10 in Encyclopedia of Personality and Individual Differences, edited by V. Zeigler-Hill and T. K. Shackelford. Cham: Springer International Publishing.

Hayes, Joseph, Jeff Schimel, Erik H. Faucher, and Todd J. Williams. 2008. "Evidence for the DTA Hypothesis II: Threatening Self-Esteem Increases Death-Thought Accessibility." Journal of Experimental Social Psychology 44(3):600–613. doi: 10.1016/j.jesp.2008.01.004.

Juhl, Jacob, and Clay Routledge. 2016. "Putting the Terror in Terror Management Theory: Evidence That the Awareness of Death Does Cause Anxiety and Undermine Psychological Well-Being." Current Directions in Psychological Science 25(2):99–103. doi: 10.1177/0963721415625218.

Kashima, Emiko S., Michael Halloran, Masaki Yuki, and Yoshihisa Kashima. 2004. "The Effects of Personal and Collective Mortality Salience on Individualism: Comparing Australians and Japanese with Higher and Lower Self-Esteem." Journal of Experimental Social Psychology 40(3):384–92. doi: 10.1016/j.jesp.2003.07.007.

Keller, Heidi. 2018. "Universality Claim of Attachment Theory: Children's Socioemotional Development across Cultures." Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America 115(45):11414–19. doi: 10.1073/pnas.1720325115.

Kovacs, Maureen Gallery. 1989. The Epic of Gilgamesh. Stanford University Press.

ISSN2667-9825(online)

Leary, Mark R. 2004. “The Function of Self-Esteem in Terror Management Theory and Sociometer Theory: Comment on Pyszczynski et al. (2004).” Psychological Bulletin 130(3):478–82. doi: 10.1037/0033-2909.130.3.478.

Maxfield, Molly, Samantha John, and Tom Pyszczynski. 2014. “A Terror Management Perspective on the Role of Death-Related Anxiety in Psychological Dysfunction.” The Humanistic Psychologist 42(1):35–53. doi: 10.1080/08873267.2012.732155.

Mikulincer, Mario, and Victor Florian. 2000. “Exploring Individual Differences in Reactions to Mortality Salience: Does Attachment Style Regulate Terror Management Mechanisms?” Journal of Personality and Social Psychology 79(2):260–73. doi: 10.1037/0022-3514.79.2.260.

Mikulincer, Mario, Victor Florian, and Gilad Hirschberger. 2003. “The Existential Function of Close Relationships: Introducing Death Into the Science of Love.” Personality and Social Psychology Review 7(1):20–40. doi: 10.1207/S15327957PSPR0701_2.

Mikulincer, Mario, Victor Florian, and Gilad Hirschberger. 2004. “The Terror of Death and the Quest for Love: An Existential Perspective on Close Relationships.” Pp. 287–304 in Handbook of Experimental Existential Psychology. New York, NY, US: The Guilford Press.

Mikulincer, Mario, and Phillip Shaver. 2003. “The Attachment Behavioral System In Adulthood: Activation, Psychodynamics, And Interpersonal Processes.” Advances in Experimental Social Psychology 35:53–152. doi: 10.1016/S0065-2601(03)01002-5.

Neff, Kristin D. 2011. “Self-Compassion, Self-Esteem, and Well-Being: Self-Compassion, Self-Esteem, and Well-Being.” Social and Personality Psychology Compass 5(1):1–12. doi: 10.1111/j.1751-9004.2010.00330.x.

Pyszczynski, Tom, and Pelin Kesebir. 2011. “Anxiety Buffer Disruption Theory: A Terror Management Account of Posttraumatic Stress Disorder.” Anxiety, Stress, & Coping 24(1):3–26. doi: 10.1080/10615806.2010.517524.

Pyszczynski, Tom, Sheldon Solomon, and Jeff Greenberg. 2015. “Chapter One - Thirty Years of Terror Management Theory: From Genesis to Revelation.” Pp. 1–70 in Advances in Experimental Social Psychology. Vol. 52, edited by J. M. Olson and M. P. Zanna. Academic Press.

Rosenberg, Morris, Carmi Schooler, Carrie Schoenbach, and Florence Rosenberg. 1995. “Global Self-Esteem and Specific Self-Esteem: Different Concepts, Different Outcomes.” American Sociological Review 60(1):141. doi: 10.2307/2096350.

Routledge, Clay. 2012. “Failure Causes Fear: The Effect of Self-Esteem Threat on Death-Anxiety.” The Journal of Social Psychology 152(6):665–69. doi: 10.1080/00224545.2012.691915.

Scheffold, Katharina, Rebecca Philipp, Susan Koranyi, Dorit Engelmann, Frank Schulz-Kindermann, Martin Härter, and Anja Mehnert. 2018. “Insecure Attachment Predicts Depression and Death Anxiety in Advanced Cancer Patients.” Palliative & Supportive Care 16(3):308–16. doi: 10.1017/S1478951517000281.

Schmeichel, Brandon J., Matthew T. Gailliot, Emily-Ana Filardo, Ian McGregor, Seth Gitter, and Roy F. Baumeister. 2009. “Terror Management Theory and Self-Esteem Revisited: The Roles of

ISSN2667-9825(online)

Implicit and Explicit Self-Esteem in Mortality Salience Effects." Journal of Personality and Social Psychology 96:1077–87. doi: 10.1037/a0015091.

Schmeichel, Brandon J., and Andy Martens. 2005. "Self-Affirmation and Mortality Salience: Affirming Values Reduces Worldview Defense and Death-Thought Accessibility." Personality and Social Psychology Bulletin 31(5):658–67. doi: 10.1177/0146167204271567.

Shaver, Phillip R., and Mario Mikulincer. 2012. "An Attachment Perspective on Coping with Existential Concerns." Pp. 291–307 in Meaning, mortality, and choice: The social psychology of existential concerns. Washington, DC, US: American Psychological Association.

Strachan, Eric, Jeff Schimel, Jamie Arndt, Todd Williams, Sheldon Solomon, Tom Pyszczynski, and Jeff Greenberg. 2007. "Terror Mismanagement: Evidence That Mortality Salience Exacerbates Phobic and Compulsive Behaviors." Personality and Social Psychology Bulletin 33(8):1137–51. doi: 10.1177/0146167207303018.

Van Brussel, Leen. 2014. "A Discourse-Theoretical Approach to Death and Dying." Pp. 13–33 in The Social Construction of Death: Interdisciplinary Perspectives, edited by L. Van Brussel and N. Carpentier. London: Palgrave Macmillan UK.

Weise, David R., Tom Pyszczynski, Cathy R. Cox, Jamie Arndt, Jeff Greenberg, Sheldon Solomon, and Spee Kosloff. 2008. "Interpersonal Politics: The Role of Terror Management and Attachment Processes in Shaping Political Preferences." Psychological Science 19(5):448–55. doi: 10.1111/j.1467-9280.2008.02108.x.

Yaakobi, Erez, Mario Mikulincer, and Phillip R. Shaver. 2014. "Parenthood as a Terror Management Mechanism: The Moderating Role of Attachment Orientations." Personality and Social Psychology Bulletin 40(6):762–74. doi: 10.1177/0146167214525473.